



**სარეგისტრაციო შესატანი**

€ 250

მოიცავს საგამოფენო კატალოგში მონაწილეობას: ანბანურ ჩამონათვალში ერთ გვერდს (შავ/თეთრი, ინგლისურ/ქართული), მონაწილეებისთვის სამკერდე ნიშნებს, მოსანვევებს, საერთო სარეკლამო ხარჯებს, ადმინისტრაციულ ხარჯებს.

**სტენდზე წარმოდგენილი თანამონაწილე კომპანიის**

€ 280

თანამონაწილე კომპანიის სახელი და მისამართი:

მოიცავს საგამოფენო კატალოგში მონაწილეობას: ანბანურ ჩამონათვალში ერთ გვერდს (შავ/თეთრი, ინგლისურ/ქართული), მონაწილეებისთვის სამკერდე ნიშნებს, მოსანვევებს, საერთო სარეკლამო ხარჯებს, ადმინისტრაციულ ხარჯებს.

**ფარადი რეკლამა გამოფენის ოფიციალურ კატალოგში**

წინა შიდა ყდა	€ 270	უკანა შიდა ყდა	€ 250
უკანა ყდა	€ 300	1 გვერდი	€ 200

**დაკვეთის საერთო ღირებულება**

(ზემოთ აღნიშნული ფასები მოიცავს დღგ-ს) €

**გადახდის პირობები**

1. გამოფენაში მონაწილეობის საერთო თანხის 50% და სარეგისტრაციო შესატანის 100% გადახდილ უნდა იქნას ინვოისის მიღებისთანავე.
2. დანარჩენი 50% გადახდილ უნდა იქნას გამოფენის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირით ადრე.

**განაცხადის შემოტანის ბოლო ვადა**

2016 წლის 30 ოქტომბერი

წინამდებარე კონტრაქტის ხელმოწერით მონაწილე ადასტურებს, რომ იგი გაეცნო და ეთანხმება გამოფენაში მონაწილეობის საერთო პირობებს, რომლებიც კონტრაქტის გვერდების მარჯვენა ნაწილშია ასახული და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს.

ხელმოწერა \_\_\_\_\_

კომპანიის ბეჭედი \_\_\_\_\_

თარიღი \_\_\_\_\_

ა.წერეთლის გამზ. 118, თბილისი 0119, საქართველო  
 ტელ/ფაქსი: +995 32 2341100 / +995 32 2351100  
 ელ-ფოსტა: expo@expogeorgia.ge

- 5.3. ორგანიზატორს აქვს დაკავების, დაყვანის უფლება, რაც გულისხმობს გამოფენაში დაუფარავი ვალდებულებების შემთხვევაში მონაწილის საკუთრებაში არსებული ნივთების თავის (ორგანიზატორის) მფლობელობაში დატოვებას, აგრეთვე უფლებას, იმ შემთხვევაში თუკი მონაწილე არ დაფარავს ვადამოსულ ვალდებულებებს, შეინახოს ეს ნივთები მონაწილის ხარჯზე და დაფაროს ეს ვალდებულებები ნივთების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხებიდან. ამ უფლებების განხორციელებისას, ორგანიზატორი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ნივთების დაზიანებისა თუ დაკარგვის გამო.
6. **აღზურგა და დაშლა:**
  - 6.1. სტენდი უნდა აღიჭურვოს გამოფენის გახსნის წინა დღეს. ექსპონატების სტანდარტულ 2.5 მეტრ სიმაღლეზე გემოთ განთავსების შესახებ წინასწარ უნდა ცნობოს ორგანიზატორს.
  - 6.2. საგამოფენო სტენდის დაშლისთვის განკუთვნილია ერთი დღე გამოფენის დასრულების შემდეგ. საგამოფენო ექსპონატების გატანამდე ორგანიზატორის მიერ გაცემულ უნდა იქნას გატანის ნებართვა. საგამოფენო დარბაზის მოწყობილობა დანადგარების ან ლია საგამოფენო სივრცის გამოფენის მონაწილეთა მიზნით გამოიყენებულ ყველა სახის ზიანზე და ან ცვლილებებზე გამონერილი იქნება შესაბამისი ანგარიში ინვოისი. აკრძალულია საგამოფენო სტენდის გამოფენის დასრულების თარიღამდე სრულად ან ნაწილობრივ დაშლა.
7. **გამოფენის კაბალოში:** სარეგისტრაციო თანხა აგრეთვე მოიცავს გამოფენის კატალოგში სავალდებულო ჩართვას. მონაწილე ვალდებულია წარუდგინოს ორგანიზატორს სრული გრაფიკული მონაცემები ორგანიზატორის მიერ დადგენილი ტექნიკური სტანდარტების მიხედვით, არაუგვიანეს 30 დღისა გამოფენის დაწყებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას ისარგებლოს ერთი სარეკლამო გვერდით, რომლის ღირებულება ყველა შემთხვევაში იქნება მის მიერ გადახდილი.
8. **გამოფენის მონაწილის საშვი:** ორგანიზატორი ვალდებულია მონაწილეს გადასცეს განსაზღვრული რაოდენობის ოფიციალური საშვიები, რომელთა რაოდენობაც დამოკიდებულია მონაწილის მიერ დაკავებულ ფართზე. მონაწილის ოფიციალური საშვი გაცემული იქნება მონაწილის მიერ აკრედიტირებული ადამიანის სახელზე, რომელიც იქნება ერთადერთი, ვისაც უფლება ექნება ისარგებლოს ამ საშვით. მონაწილის ოფიციალური საშვი წარმოდგენილი უნდა იყოს სურათი ან პირადობის მოწმობასთან ერთად.
9. **განათება, ელექტროენერჯია, წყალი:**
  - 9.1. ორგანიზატორი პასუხისმგებელია განათების ძირითად მოწყობილობებზე. ორგანიზატორი ყოველ 3 კვ.მ სტენდზე დაამონტაჟებს განათების ერთ მოწყობილობას. განათების მოწყობილობებზე დამატებითი მოთხოვნები (გამოფენის მონაწილის დამატებითი ხარჯებით) დროულად უნდა განცხადდეს, არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე გამოფენის დაწყებამდე.
  - 9.2. გამოფენის მონაწილე პასუხისმგებელია ყველა სახის ზარალზე და ელექტროენერჯიის ან წყლით მომარაგების სისტემის არასათანადო გამოყენებაზე.
10. **საგამოფენო ფართის დასუფთავება:** ორგანიზატორის ვალდებულებას წარმოადგენს საგამოფენო გასასვლელების, შესასვლელების და სხვა საერთო გამოყენების სივრცის დალაგება. სტენდების, პროდუქციის და ექსპონატების დასუფთავება წარმოადგენს მონაწილის ვალდებულებას.
11. **უსაფრთხოება, დაზღვევა:**
  - 11.1. საერთო უსაფრთხოების ზომებს დღე-ღამის განმავლობაში ატარებს ორგანიზატორი, ისე რომ მას არ ეკისრება პასუხისმგებლობა ექსპონატების დაზიანებაზე ან დაკარგვაზე.
  - 11.2. გამოფენის მსვლელობისა და სტენდის ექსპლუატაციის განმავლობაში მონაწილე ვალდებულია მუდმივად იდგეს თავის ფართთან (სტენდთან), თვითონ ან წარმომადგენლის მეშვეობით თვალყური ადევნოს საგამოფენო ექსპონატებს. ექსპონატების დაზღვევა წარმოადგენს მონაწილის ვალდებულებას და ორგანიზატორი არ არის პასუხისმგებელი არანაირ ზიანზე თუ დაზარალებაზე, რომელიც მიადგება ექსპონატებს ან დანადგარებს ნებისმიერი მიზეზით.
12. **პირდაპირი გაყიდვები, პრემიადაცემი და სხვა ღონისძიებები გამოფენის მსვლელობისას:**
  - 12.1. საკუთარი პროდუქტების პირდაპირი გაყიდვისათვის მონაწილე ვალდებულია იქონიოს ყველა ნებართვა და იმოქმედოს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, ამასთან ორგანიზატორისგან წერილობითი თანხმობის მისაღებად მიანდოს იმ პროდუქტების ჩამონათვალი, რომელთა გაყიდვასაც იგი გეგმავს გამოფენაზე.
  - 12.2. მონაწილე ვალდებულია წერილობით შეუთანხმდეს ორგანიზატორს საგამოფენო სივრცეში ჩასატარებელი დამატებითი ღონისძიებების შესახებ (ხშირ ალტერნატივებზე, სლაიდების პრეზენტაციებზე, ფილმის შოუზე, დანადგარების და მოდელების ჩვენებაზე დემონსტრაციებზე).
13. **დასკვნითი დებულებები:**
  - 13.1. წინამდებარე მონაწილეობის საერთო პირობები წარმოადგენს სარეგისტრაციო კონტრაქტის განუყოფელ ნაწილს. სარეგისტრაციო კონტრაქტის ხელმოწერით მონაწილე აღიარებს დაეთანხმება წინამდებარე წესებსა და პირობებს.
  - 13.2. წინამდებარე სარეგისტრაციო კონტრაქტის (მონაწილეობის საერთო პირობების) რომელიმე მუხლის თუ პუნქტის ბათილობა შეგავლენას არ ახდენს სხვა მუხლების პუნქტების ბათილობაზე, რომლებიც ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას.
  - 13.3. მხარეები შეეცდებიან ყოველგვარი უთანხმოება მოგვარონ მოლაპარაკებათა გზით, ხოლო ამის შეუძლებლობის შემთხვევაში დავა გადავიყვანო საქართველოს სასამართლოს განსახილველად. სარეგისტრაციო კონტრაქტზე და მასთან დაკავშირებულ მხარეთა უფლება- მოვალეობებზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობა.